მხატვრულ სახეებზე მუშაობა

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე

გზამკვლევი

მოამზადა მაია ინასარიძემ

სამიზნე აუდიტორია: საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები

პრაქტიკული გამოყენება: *რესურსი გთავაზობთ მეთოდურ რეკომენდაციებს, თუ როგორ გამოვიყენოთ მეთოდი „სასწავლო გაჩერებები“ „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების დროს, რათა მოსწავლეებს ვასწავლოთ პოემაში დასმული საკითხების მრავალწახნაგოვანი ხედვა.*

დიფერენცირების ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდი არის „სასწავლო გაჩერებები“, რომლის შესახებ მასალა მოცემულია მარიანა ხუნძაყიშვილისა და სარა ვებერის სახელმძღვანელოში მასწავლებელთათვის „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018). სასწავლო გაჩერებები არის სხვადასხვა აქტივობის ერთობლიობა, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და მიაღწიონ დასახულ მიზანს. სასწავლო გაჩერებების მოწყობა შეიძლება მერხებით/ მაგიდებით საკლასო ოთახში არსებული სივრცისა და გაკვეთილის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს თითოეულ გაჩერებაზე ხვდებათ შესასრულებელი დავალების ინსტრუქცია. მოსწავლეები ერთ კონკრეტულ ,,გაჩერებასთან“ ატარებენ მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ასრულებენ ინსტრუქციით გათვალისწინებულ სამუშაოს, რის შემდეგაც გადაადგილდებიან შემდეგ გაჩერებაზე. ეს პროცესი გრძელდება მანამდე, სანამ მოსწავლეთა ყველა ჯგუფი არ შეასრულებს თითოეულ გაჩერებაზე მოცემულ დავალებას. ,,სასწავლო გაჩერებების“ გამოყენება შესაძლებელია ახალი საკითხის სწავლების პროცესში, ასევე ის შეიძლება ემსახურებოდეს უკვე განხილული საკითხის სიღრმისეულად გაგებას ან რაიმე უნარის გავარჯიშებას. სასწავლო გაჩერებებზე მუშაობა შეიძლება დასრულდეს ერთი გაკვეთილზე ან გაგრძელდეს რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში. მაგალითად, 45-წუთიანი გაკვეთილიდან 5 წუთი შეიძლება დაიხარჯოს მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის ინსტრუქციის მიცემაზე, შემდეგ კი მოსწავლეთა ჯგუფებმა წინასწარ მოწყობილი სამი გაჩერებიდან თითოეულზე დაახლოებით 10 წუთი უნდა იმუშაონ. დარჩენილი 10 წუთი კი მასწავლებელმა შეიძლება დაუთმოს მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი მოკლე პრეზენტაციებით გაკვეთილის შეჯამებას. თუ დავალებათა რაოდენობა მეტია, მაგალითად, ხუთი და დრო ისევ 10 წუთი თითოეული დავალების

შესასრულებლად, ამ მეთოდის განხორციელებლად შესაძლებელია ორი დაწყვილებული გაკვეთილის გამოყენება. სასწავლო გაჩერებების მოსამზადებლად მასწავლებელს საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი გაკვეთილის გეგმა და დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციები დეტალურად იყოს გაწერილი, ასევე მომზადებული უნდა იყოს ყველა საჭირო რესურსი თუ სამუშაო ფურცელი. ამიტომ, არ არის საჭირო მისი გამოყენება ყოველ გაკვეთილზე. სასწავლო გაჩერებების დახმარებით გაკვეთილის დაგეგმვა რეკომენდებულია რამდენიმე კვირაში ერთხელ, სასწავლო მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით (მასალა მომზადებულია ზემოთ დასახელებული სახელმძღვანელოზე დაყრდნობით).

ჩვენ შემოგთავაზებთ ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე „სასწავლო გაჩერებების“ გამოყენების ერთ მაგალითს.

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა რომ ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, ეს ყველასათვის ცხადია. მოსწავლეთა თვალსაწიერის გასაფართოვებლად და პოემის მრავალწახნაგოვანი აღქმისათვის, სასურველია, მათ გავაცნოთ სხვადასხვა მოსაზრება პოემის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. იმისათვის, რომ ყველა მოსწავლე ჩავრთოთ გაკვეთილზე მიწოდებული მასალის კითხვასა და წაკითხულის გააზრებაში, ეფექტიანი იქნება „სასწავლო გაჩერებების“ მეთოდის გამოყენება. მეთოდის მიმდინარეობა ასეთია: მოსწავლეები შემთხვევითობის პრინციპით (გადათვლით 1-დან 4-მდე) იყოფიან ჯგუფებად და სხდებიან მაგიდებთან, რომელთაგან თითოეულზე ხვდებათ თითო წასაკითხი ტექსტი შესაბამისი შეკითხვებით (ტექსტები და შეკითხვები იხ. დანართში). თითოეული ტექსტის დასამუშავებლად ჯგუფს ეძლევა 15-20 წუთი (მოსწავლეთა კითხვის ტემპიდან გამომდინარე).

მას შემდეგ, რაც თითოეული ჯგუფი დათქმულ დროში თავის მაგიდაზე დადებულ მასალას გაეცნობა და შესაბამის დავალებას შეასრულებს, გადადის გვერდით მდგომ მაგიდაზე. ასე ინაცვლებენ ჯგუფები მაგიგიდან მაგიდასთან, სანამ პირველი ჯგუფი თავის პირველ მაგიდას არ დაუბრუნდება. ამგვარად ყველა ჯგუფი ამუშავებს ყველა წასაკითხ მასალას. ამის შემდეგ კენჭისყრით თითო ჯგუფს საპრეზენტაციოდ ხვდება თითო მასალა. ერთი ჯგუფის პრეზენტაციას საჭიროების შემთხვევაში შეავსებენ სხვა ჯგუფები. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჯგუფურ სამუშაოში ყველა მოსწავლის ჩართულობა, პრეზენტაციის მოლოდინი თითოეულს უნდა ჰქონდეს. სასურველია, პრეზენტატორიც კენჭისყრით აირჩეს და ამის შესახებ წინასწარ იცოდნენ მოსწავლეებმა. შესაძლებელია საპრეზენტაციო მასალა ჯგუფის რამდენიმე წევრმა გადაინაწილოს. გრაფიკულად მეთოდი ასე გამოიყურება:



ქვემოთ დანართების სახით გთავაზობთ თითოეულ მაგიდაზე დასადებ საკითხავ მასალას.

დანართი 1.

პირველი მაგიდა

ტოლერანტობის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ - ლია კარიჭაშვილი (შემოკლებით)

ტერმინი ტოლერანტობა XVII საუკუნიდან ჩნდება. იგი, პირველყოვლისა, სამედიცინო ტერმინია და აღნიშნავს ორგანიზმის უნარს, შეეგუოს ამა თუ იმ არახელსაყრელ გარემო ფაქტორს; გადატანითი მნიშვნელობით კი „სხვის აზრთან, რწმენებთან, იდეებთან და ქცევებთან შეგუებულობას“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი 2007: 792)...

რუსთაველის მსოფლმხედველობაზე საუბრისას ყველა მკვლევარი აუცილებლად უსვამს ხაზს მის ჰუმანიზმს, როგორც პოეტის მსოფლმხედველობის ძირითად მახასიათებელს, მისი აზროვნების რენესანსულობის წყაროს, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საფუძველს.

ტოლერანტობა რუსთაველის შემოქმედებაში ვლინდება ადამიანურ ურთიერთობათა ყველა დონეზე, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, პიროვნული თუ თუნდაც ენობრივი.

„ვეფხისტყაოსანში“ **პოლიტიკური შემწყნარებლობა** ჩანს ბრძოლაში დამარცხებული და ტყვედჩავარდნილი მოწინააღმდეგის მიმართ. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ტარიელისა და ფარსადან მეფის დამოკიდებულება ხატაეთის მეფისადმი, რომელმაც აღარ ისურვა მისი ქვეყანა ინდოეთის მოხარკე ყოფილიყო და დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. როდესაც ტარიელი თავისი ლაშქრით ინდოეთისკენ საომრად გაემართა, რამაზ მეფე მიზნის მისაღწევად არც თვალთმაქცობას დაერიდა და ღალატით აპირებდა ტარიელის დამარცხებას. როდესაც მისი ჩანაფიქრი გამჟღავნდა და ბრძოლაში იგი სასტიკად დამარცხდა, თითქოს მოულოდნელია ის შემწყნარებლობა, რომელსაც მის მიმართ იჩენენ ტარიელი და მეფე ფარსადანი.

ტარიელს ხატაეთიდან მიაქვს უთვალავი განძი (თუმცა ხატაეთის უბრალო მოსახლეობა არ დარბეულა და დაზარალებულა).

„ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: „იყვენით თქვენ უკრძალავად,

მზემან არ დაგწვენ, იცოდით, დაგყარენ დაუგვალავად“.*

რამაზ მეფე ტყვედ მოჰყავს ტარიელს და ფარსადანის წინაშე წარადგენს. მეფე ლმობიერია დამარცხებული მეფის მიმართ. მისი პიროვნული ღირსება ხელშეუხებელია. რამაზ მეფეს პატივით ეპყრობიან: „ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე“. მას უბრუნებენ თავისუფლებას, შეუნდობენ მუხანათურ საქციელს და დასაჩუქრებულსაც კი გამოუშვებენ, თუმცა ხატაეთი კვლავ მოხარკე ქვეყნად რჩება.

ამგვარმა დამოკიდებულებამ რამაზ მეფე მადლიერებით აღავსო, სხვა საკითხია, რამდენად გულწრფელია იგი, მაგრამ ამ მომენტში ის მადლიერებას გამოხატავს ასეთი მოპყრობისათვის:

„ხატაელმან დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,

მოახსენა ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა...“. (472)

ამ სიტუაციაში მეფე ფარსადანიც და ტარიელიც ხელმძღვანელობენ პრინციპით: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა...“.

სოციალური ტოლერანტობა „ვეფხისტყაოსანში“ პირველყოვლისა სოციალურ წყობაშივეა ასახული. მისი სახელდება - პატრონყმობა - უნდა გულისხმობდეს, რომ იგი უფრო ჰუმანურია, ვიდრე ბატონყმობა და ნიშანდობლივი იმით, რომ სოციალურად მაღალი ფენა არა მარტო მბრძანებელია, არამედ მზრუნველიც არის, პატრონია დაქვემდებარებული ფენისა. მათ შორის მეგობრობა და სიყვარული შესაძლებელია. ამისი იდეალური ნიმუშია ავთანდილისა და შერმადინის ურთიერთდამოკიდებულება. შერმადინი თავისი პატრონის უახლოესი და უერთგულესი ადამიანია. იგი პირველია, ვისაც ავთანდილი თინათინის სიყვარულს უმხელს. საგულისხმოა, რომ ანდერძში იმ უმნიშვნელოვანეს საკითხთა შემდგომ, რომელთა შესახებ ავთანდილი მეფეს ესაუბრება, ერთადერთ ადამიანს, შერმადინს, ავედრებს მეფეს, მასზე ზრუნავს და მისი მომავალი აწუხებს.

სწორედ ავთანდილისა და შერმადინის ურთიერთობას მოსდევს რუსთაველის კომენტარი: „პატრონისა ვერა მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა“.

საყურადღებოა როსტევან მეფის ურთიერთობა ხელქვეითებთან, იქნებიან ისინი მაღალი რანგის მოხელეები, ვაზირები, თუ ყმა-მონები. არაბეთის ბრძენმა მონარქმა იცის, როგორ მართოს და დაიქვემდებაროს სოციალურად განსხვავებული ფენები, როგორ გაიერთგულოს ორგულნი და რა პრინციპით იხელმძღვანელოს ურთიერთობებში. ამ სიბრძნესა და გამოცდილებას იგი თავის ქალიშვილსაც უზიარებს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების,
უხვი ახსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“. (49)

მეფე პირად ურთიერთობებშიც ჰუმანურია, ლმობიერი და, ზოგიერთ შემთხვევაში, თავმდაბალიც კი. ამის საფუძველი ისაა, რომ იგი პატივს სცემს სხვის პიროვნებას, შეუძლია მისი მოსმენა და რჩევის მიღება. უცხო მოყმის ნახვის შემდეგ დამწუხრებული როსტევანისთვის მისაღები და დამაჯერებელი აღმოჩნდა თინათინის სიტყვები უცნობის ამბის გასაგებად მონათა გაგზავნის შესახებ, რათა ის მაინც შეეტყოთ, იყო იგი „შობილი თუ უშობელი“. მეფის პიროვნული თვისებები კარგად გამოჩნდა პოემის პირველივე ეპიზოდებში, როდესაც თინათინის გამეფებასთან დაკავშირებულ ნადიმზე მეფემ მოიწყინა. საზეიმო სიტუაციით გალაღებულმა ვაზირმა და სპასპეტმა კი ხუმრობა შეჰბედეს... ნადირობის ეპიზოდიც გამოკვეთს როსტევან მეფის პიროვნებას. მას უხარია ავთანდილის გამარჯვება, მისი სიკეთე. თანმხლები მონებიც პირუთვნელად მოახსენებენ ნადირობის შედეგებს. პოემის ტექსტი ან თუნდაც ქვეტექსტი, მით უფრო სიუჟეტის განვითარება, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მეფის გულწრფელობაში ეჭვი შევიტანოთ. მკითხველის გაოცებას იწვევს, როგორ განიცდის მეფე ავთანდილის წასვლას არაბეთიდან; ფაქტობრივად, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მშვიდი და გაწონასწორებული როსტევანი თავს კარგავს და დაუნდობლად ექცევა ვაზირს, რომელმაც ავთანდილის სურვილი გადასცა. ეს სცენა არ შექმნილა მეფის მრისხანე და სასტიკი სახის წარმოსაჩენად, არამედ რუსთაველის მიზანი იყო ეჩვენებინა, რა მტკივნეულად აღიქვა მეფემ ავთანდილთან განშორების აზრი. ხოლო მას შემდეგ, რაც მეფეს ანდერძი გადასცეს და იგი ფაქტის წინაშე დადგა, ქვეყანაში გლოვა გამოაცხადა...

სოციალური სამართლიანობა და ტოლერანტობა, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, იდეალური სამეფოს აუცილებელი ატრიბუტია. სწორედ ამაზე აფუძნებენ გმირები თავიანთ სახელმწიფოებს. ეს ხდება არა რომელიმე სოციალური ფენის დისკრედიტაციის ფონზე, არამედ თანაცხოვრების პირობებში, როდესაც ურთიერთობები ემყარება ურთიერთპატივისცემას, მაღალ მორალს და სამართლიანობის პრინციპს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **რელიგიური ტოლერანტობა** გულისხმობს პატივისცემას სხვისი აღმსარებლობისადმი, განსხვავებული კონფესიების ადამიანთა სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა თანასწორობას და არავითარ შემთხვევაში სარწმუნოებრივ აღრევას. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები მაჰმადიანები არიან. სიუჟეტი ვითარდება მაჰმადიანურ სივრცეში, ბუნებრივია, უნდა შექმნილიყო სათანადო მხატვრული სინამდვილე, მაგრამ პოეტის მსოფლმხედველობა რომ ქრისტიანულია და წმინდა წერილს ეფუძნება, ეს აზრი კარგა ხანია დამკვიდრებულია. გამოვლენილია სიახლოვე როგორც ბიბლიასთან, ისე მოციქულთა ნააზრევთან, ფსალმუნურ მეტყველებასთან, თეოლოგიურ

ტერმინოლოგიასთან. მოქმედება პოემაში ფართო მასშტაბით იშლება. ეს არის ქვეყანათა შორის, ერთა შორის ურთიერთობა და ყველა პერსონაჟს აერთიანებს ერთი ღმერთი ანუ ცოდნა იმისა, რომ ღმერთი ერთია, კეთილი, მოწყალე, უსასრულო, სულგრძელი. განგება უცვლელია, ბოროტება - არასუბსტანციური და ხანმოკლე. რელიგიური წარმოდგენებიც მსგავსია: ადამიანი თავისი ცხოვრებისეული ღვაწლის კვალობაზე ფასდება ამქვეყნად და საიქიოშიც იმისდა მიხედვით იმკვიდრებს ადგილს, როგორ განვლო წუთისოფელი, უღირსად თუ ღირსეულად. ეს წარმოდგენები უნივერსალურია და ყველა რელიგიური აღმსარებლობისთვის მისაღები, რამდენადაც ეყრდნობა საერთო ფუნდამენტს - პიროვნულ ღირსებებს; ამოსავალი პიროვნებაა, მისი შინაგანი ცენზორი კი მაღალი ზნეობა.

რუსთაველის პოეტური სამყაროსთვის რელიგია უნდა ყოფილიყო არაკონფესიური ისევე, როგორც ენა უნდა ყოფილიყო უნივერსალური. პოემაში არ დგას და არც შეიძლება იდგეს ენის პრობლემა, როგორც ბარიერისა, უფრო მეტიც, არამცთუ ადამიანები, არამედ მთელი სამყარო (ადამიანით ცენტრში) საუბრობს ერთ ენაზე. ეს სამყარო მთლიანია და დაურღვეველი...

პიროვნული ტოლერანტობის მაგალითია ავთანდილის მიმართება გარესამყაროსთან. თინათინიც და ავთანდილიც იმთავითვე აღჭურვილნი არიან სიბრძნით, გონიერებით და სხვა სიკეთეებით. საინტერესოა, რომ როდესაც ავთანდილი არაბეთის სივრციდან გადის, იგი მოქმედებს იმ გარემოებათა მიხედვით, რომლებშიც ხვდება. მას კარგად შეუძლია ადაპტირება გარემოსთან, ცხოვრება იმ წესებითა და სტილით, რომლებსაც მოცემული სივრცე და საჭიროებანი კარნახობს. ამას ადასტურებს მისი ცხოვრება გულანშაროში, ვაჭართა საზოგადოებაში. ავთანდილს კარგად ესმის ამ საზოგადოების ავ-კარგი, მისი ბუნება და ღირებულებები. იგი დაუფარავად ეუბნება ბაღდადელ მოქარავნეებს: „თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“; შინაგანად მკვეთრად ემიჯნება მათ, მაგრამ შეუძლია შეეგუოს და თვითონაც იცხოვროს იმგვარი წესით, დამაჯერებელი იყოს მისი სახე, როგორც ვაჭართა უფროსისა. ეს, რასაკვირველია, ავთანდილს სრულიად გარკვეული მიზნისთვის სჭირდება და მის ცხოვრებაში გულანშაროს ეპიზოდი, ჩვენი აზრით, ერთგვარი ზნეობრივი კომპრომისია, რომელმაც, საბედნიეროდ, ფატმანის კეთილი ნების წყალობით, გაამართლა, მაგრამ მისი უნარი - გარდაისახოს, მიიღოს და შეეგუოს მოცემულ გარემოს, იურთიერთოს საზოგადოების ყველა ფენასთან, დაუმეგობრდეს და გამონახოს საერთო ენა - სხვა თვისებებთან ერთად, პიროვნულ ტოლერანტობაზეც მეტყველებს.

როგორც ცნობილია, რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის საფუძვლად მიიჩნევდნენ თითქმის ყველა ძირითად მოძღვრებას, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ მიმდინარეობას: არისტოტელიზმს, პლატონიზმს, პანთეიზმს, ნეოპლატონიზმს, არეოპაგიტიკას, ქრისტიანობას, მანიქეიზმს, მაჰმადიანობას, სუფიზმს... ამგვარი მრავალფეროვნება რუსთაველის მსოფლმხედველობის წყაროების თვალსაზრისით, მოწმობს იმას, რომ რუსთაველმა შექმნა უნივერსალური მხატვრული სამყარო, რომელმაც ყველა ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმდინარეობის ელემენტები გაამთლიანა. იგი არ შეზღუდულა ერთი რომელიმე კონფესიით.., მან კულტურათა ერთგვარი სინთეზი მოახდინა. ამასთან დაკავშირებით გ. ქიქოძე ნაშრომში „შოთა რუსთაველი“ წერდა, რომ „ვეფხიტყაოსანი“ წარმოადგენს კლასიკური კულტურის, შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთისა და მუსლიმანური აღმოსავლეთის ელემენტების ორიგინალურ სინთეზს.

რელიგიური შემწყნარებლობის მხრივ ქართულმა საზოგადოებამ ბევრად გაუსწრო თავის თანამედროვე ევროპულ და ბიზანტიურ იდეოლოგიას“ (ქიქოძე 1985: 256).

ამდენად, შემწყნარებლობა რუსთაველის მხატვრული სამყაროს ორგანული მახასიათებელია...

დანართი 2.
მეორე მაგიდა

აკაკი ბაქრაძე - ავთანდილის სახე „ვეფხისტყაოსანში“ (შემოკლებით)

"ვეფხისტყაოსანში" ყველა სიბრძნე უმთავრესად ავთანდილის პირით არის გაცხადებული. გარდა ამისა, ავთანდილის მოქმედება კიდევ უფრო ავსებს და ავითარებს იმას, რასაც იგი, როგორც პერსონაჟი, ამბობს. ამდენად, ჩვენს წინაშეა უაღრესად ღრმა, მრავალპლანიანი პერსონაჟი, რომლის ყველა ქმედებას, ყველა საქციელს, ყველა სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მეტადრე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რას, როგორ და რანაირად მიესწრაფის ავთანდილი.

როგორც კარგად არის ცნობილი, "ვეფხისტყაოსანი" ძირითადად ორი ფენისაგან შედგება. ერთი ფენა პირობითად შეიძლება მოვიხსენიოთ ტარიელის თავგადასავლად და მეორე ფენა – ავთანდილის თავგადასავლად და როდესაც ეს ორი ფენა ერთმანეთს გადაეჯაჭვება, უკვე მთლიანობაში, მოქმედებაში, თვითონ სიუჟეტის მსვლელობაში ჩანს ის ორი ძირითადი აზრი და სიბრძნე, რომლის მატარებელიც "ვეფხისტყაოსანია".

მაგრამ თუ ტარიელის დახატვისას ავტორს მაინც შედარებით ერთი მიმართულებით მიჰყავს მოქმედება და ერთპლანიანად ხატავს ამ პერსონაჟს, სრულიად სხვაა ავთანდილი. მისი მოქმედება ყოველთვის შეესაბამება იმ კონკრეტულ ვითარებას, იმ კონკრეტულ სიტუაციას, რომელშიაც მას უხდება მოქმედება. ამ მხრივ ის უაღრესად საინტერესო პიროვნებაა არა მარტო ქართული ლიტერატურისა, არამედ საკაცობრიო ლიტერატურისა და განსაკუთრებით იმ ეპოქის მწერლობისა, რომელშიაც "ვეფხისტყაოსანი" დაიწერა, რადგან ასეთი მრავალმხრივობა ხასიათისა, ასეთი მრავალმხრივობა მოქმედებისა იმდროინდელ ლიტერატურაში, თუ არ ვცდები, არცკი შეიძლება შეგხვდეს სადმე, რადგან მაშინ მაინც ავტორები მიმართავდნენ მოქმედების ერთპლანიანობას, ერთი მიმართულებით მიმდინარეობდა სიუჟეტის განვითარება და მოქმედების ლოგიკაც ერთი იყო პერსონაჟისათვის. იმას, რასაც ავთანდილთან შეხვდებით, შეხვდებით მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს ან შემდეგ, მე-19 საუკუნის ლიტერატურაში, ანდა უკვე ჩვენს დროში, როდესაც ადამიანი წარმოდგენილია მისი მრავალმხრივი შინაგანი სამყაროთი და მრავალმხრივი ქმედებით.

ავთანდილი სავსეა როგორც სულიერებით, ისე ნივთიერებით. იგი სულიერების განსახიერებაა, მაგრამ მისი მონა არ არის. თუ საჭიროა, იგი მაშინვე იყენებს ნივთიერებას, მაგრამ არც მას მორჩილებს. სიყვარულის, მეგობრობის, შეწყალების ქადაგი და პრაქტიკულად განმხორციელებელიც ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, ძალადობის ან მკვლელობის აუცილებლობა თუ დაინახა. "ვეფხისტყაოსნის" მთელი სიბრძნე ძირითადად ავთანდილის

პირით არის გაცხადებული, მაგრამ ამ ბუნება-ზეარსმა (რუსთაველის სიტყვაა) კაცმა მაშინვე სტაცა ასმათს თმებში ხელი, როგორც კი ხვეწნამ და ტკბილმა სიტყვამ არ გასჭრა. არც მაშინ უყოყმანია ავთანდილს, როცა ფატმანის საყვარელი ჭაშნაგირი მოჰკლა, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო. ავთანდილი იმიტომაც იმარჯვებს, რომ მას არ დაურღვევია წონასწორობა სულიერებასა და ნივთიერებას შორის, სულსა და ხორცს შორის.

ავთანდილი რომ არ იყოს, არაფერი განვითარდება და პოემის სიუჟეტი ერთ ადგილზე გაჩერდება, რადგან ყველა დანარჩენი პერსონაჟი თავისი პირადი გრძნობებით და პირადი ვნებებით იმდენად ღრმად არის შეპყრობილი, რომ უჭირს საღი განსჯა. ვთქვათ, თუნდაც ტარიელი, რომელიც იმ უბედურებამდე (ნესტანის დაკარგვამდე) სრულიად საღად ფიქრობს, მსჯელობს, აზროვნებს და მოქმედებს, ნესტანის დაკარგვის შემდეგ კარგავს წონასწორობას, არსებითად ბრმა გრძნობით არის შეპყრობილი და სწორი განსჯა უჭირს. ავთანდილი არცერთ ასეთ ვითარებაში არ იბნევა: ყოველთვის პოულობს იმ სვლას, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ბოროტების სამყარო, ქაჯეთის სახით წარმოდგენილი, შეიძლება დაინგრეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დაუპირისპირდება ავთანდილის სიბრძნე და გონიერება. მხოლოდ ავთანდილს შეუძლია ამ უზარმაზარი ბოროტების სამყაროს დანგრევა და ნესტანის გათავისუფლება. "ვეფხისტყაოსნის" ძირითადი იდეაც - "შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს" - გაპირობებულია მხოლოდ ავთანდილის გონიერებით. ამ სამყაროს მხოლოდ მაშინ მიაღწევს ადამიანი, როდესაც იგი აღჭურვილია იმ სიბრძნითა და გონიერებით, ამავე დროს, იმ პრაქტიციზმითაც, ავთანდილს რომ ახასიათებს. ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ ღრმა მოაზროვნე, ღრმა ფილოსოფოსი, რომელიც ჭვრეტით ფლობს სამყაროს. არა, მან იცის, ეს ფილოსოფია როგორ უნდა გამოიყენოს კონკრეტულ სინამდვილეში, პრაქტიკულად როგორ მიაღწიოს იმის განხორციელებას, რაც მას თეორიულად წარმოუდგენია. ამიტომ მასში განხორციელებულია პრაქტიკოსის და ბრძენის ერთიანობა. აქედან გამომდინარეობს ის ძალა, რომელიც მას აქვს და რომელიც მიმართულია ბოროტის წინააღმდეგ დასამკვიდრებლად კეთილისა. თუ მომეტებულ ფანტაზიორობად არ ჩამომერთმევა, ავთანდილის ცოცხალ პროტოტიპად დავით აღმაშენებელს მივიჩნევდი. ამ კაცმა უდიდესი პრაქტიკული საქმეც განახორციელა და სულიერებით სავსე ჰიმნიც დაწერა. დიდი საქართველოს აღმაშენებელ ხელმწიფეს შეუძლებელია უამრავი ისეთი საქმე არ გაეკეთებინა, რასაც ნივთიერების გამოვლენად, ხორცის სამსახურად მივიჩნევდით და ისიც დაუჯერებელია, რომ "გალობანი სინანულისანი" დაეწერა ადამიანს, ვინც სულიერების მწვერვალებს არ იყო მიმწვდარი. მაგრამ დავით აღმაშენებელმა ავთანდილივით ზუსტად იცოდა, როდის უნდა ყოფილიყო სულიერების ტრფიალი და როდის – ნივთიერების.

თუ კლასიკური ხელოვნების მთავარ ნიშან-თვისებას ქართულმა მწერლობამ რაიმე შემატა, ეს ავთანდილის სახეა.

მე არ მეგულება მეორე პერსონაჟი ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ავთანდილივით ჰარმონიულად ათავსებდეს ერთმანეთთან სულიერებასა და ნივთიერებას, ამით არის იგი ბუნება-ზეარსი... თუ ჩვენ მას, როგორც გარკვეულ მაგალითს, შევადარებთ სხვა პერსონაჟებს მთელი ქართული მწერლობის ისტორიიდან, დავინახავთ, რომ ის უნიკალური პიროვნებაა. ჩემი აზრით, სწორედ აქ ჩანს ყველაზე მეტად და ფართოდ რუსთაველის, როგორც ავტორის, სიბრძნე და სიდიადე. რუსთაველმა იცის, რომ ცალკე პრაქტიციზმი მხოლოდ ემპირიულ მხოხავ ჭიებს

ბადებს, ცალკე აბსტრაქციონიზმი მაღალ ადამიანებს, მაგრამ უუნაროს პრაქტიკული ცხოვრებისათვის, ამდენად, უშედეგოს თავიანთ საქმიანობაში. ამათი შერწყმაა საჭირო და ამ შერწყმაში უნდა განხორციელდეს სიბრძნეც, გონიერებაც, კეთილშობილებაც, მაღალი ზნეობაც. ამიტომ არის, ჩემი თვალსაზრისით, ავთანდილი განსაკუთრებული პერსონაჟი არა მარტო ქართული მწერლობისა, არამედ საკაცობრიო მწერლობისაც. იმისათვის, რომ ერთმანეთთან შეეკავშირებინა სიბრძნე და პრაქტიციზმი, სერვანტესს ორი კაცი დასჭირდა – დონ კიხოტი და სანჩო პანსა, რადგან ვერ წარმოედგინა ერთ კაცში გაერთიანებული ეს ორივე უნარი, რუსთაველმა წარმოიდგინა და ერთ კაცში განახორციელა ეს. რაც მთავარია, როდესაც თქვენ "ვეფხისტყაოსანს" კითხულობთ, არასოდეს გიჩნდებათ ავთანდილის მიმართ რაიმე ხინჯი, გულნატკენობა, მკითხველში არ რჩება ემოციური უკმაყოფილება. მკითხველი იმთავითვე, პირველი სტრიქონიდან უკანასკნელ სტრიქონამდე ავთანდილის ემოციური თაყვანისმცემელია, ავთანდილის მიმართ ემოციური ინტერესი, ემოციური სიყვარული არ ქრება. აი, ეს არის, ჩემი აზრით, რუსთაველის კიდევ ერთი დიდი ძალა. ძალიან ძნელია, მსოფლიო ლიტერატურაში დაასახელო მხატვრული ნაწარმოები, სადაც ადამიანი ადამიანს კლავდეს და მკვლელის მიმართ გულში რაიმე ხინჯი არ გაუჩნდეს მკითხველს. ავთანდილი, როგორც პერსონაჟი, განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში და ამიტომ მას ღრმა ანალიზი და ღრმა შესწავლა სჭირდება. გარდა ამისა, ავთანდილი არის ის ორიენტირი, რომელიც შეიძლება ყველა გასაჭირში და ყველა რთულ ისტორიულ ვითარებაში გარკვეულ მაგალითად, გარკვეულ გეზის მიმცემად გამოადგეს ჩვენს საზოგადოებას. მე მხედველობაში მაქვს დღევანდელი ვითარებაც, როდესაც საქართველოში მძიმე, სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს ეროვნული თავისუფლებისათვის. ჩვენთვის ავთანდილს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, აი, ამ ვითარებაში, რადგან ის ძალიან მკაფიოდ და ნათლად გვასწავლის, როგორ და რანაირად შეიძლება იყოს გამოყენებული მისი სიბრძნეც და პრაქტიციზმიც, ანუ უნარი, ყველა კონკრეტულ ვითარებაში იპოვოს გამოსავალი და იპოვოს გზა ხსნისა. თუ ჩვენ გავყვებით ავთანდილის გზას, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იდეალს, რომელიც რუსთაველმა "ვეფხისტყაოსანში" დასახა, მივაღწევთ, ესე იგი, შევქმნით სამყაროს, სადაც ადამიანთა საზოგადოებას შეეძლება, წყნარად, მშვიდად იცხოვროს; ერთი სიტყვით, ისე, როგორც ბიბლიაშიცაა ნათქვამი და, კერძოდ "ვეფხისტყაოსანშიც", რომ თხამ და მგელმა ერთად მოძოვოს. ქართველ ხალხს მისი გრძელი ისტორიის მანძილზე სამი დიდი წიგნი ჰქონდა სიბრძნის სასწავლად და გზამკვლევად. ეს წიგნები გახლავთ – "ბიბლია", "ვეფხისტყაოსანი" და "ქართლის ცხოვრება". ამ სამ წიგნს ეყრდნობა ქართული კულტურა, ქართველი ხალხის ისტორიული ყოფა და ცხოვრება. მომავალშიც ამ სამ წიგნს უნდა დაეყრდნოს ჩვენი ხალხის არსებობა. თუ ჩვენ ყველაფერ ამას მკაფიოდ და კარგად განვჭვრეტთ, გავითვალისწინებთ, ჩავწვდებით და გავიგებთ, რაშია და როგორ არის საქმე, მაშინ მკაფიოდ დავინახავთ, რა ძალის პატრონები ვართ სულიერად და ბუნებრივია, რომ ამ ძალის გათვალისწინებით ყველა იდეალის განხორციელება შეგვიძლია და ამ იდეალის დროშაზე, ჩემი აზრით, ისეთი პიროვნება უნდა ეხატოს, როგორიც "ვეფხისტყაოსნის" ავთანდილია.

დანართი 3.

მესამე მაგიდა

რევაზ სირაძე - ადამიანის რენესანსული იდეალი

რენესანსის ეპოქაში ადამიანი ადამიანზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე თვით ღმერთზე, ადამიანზე ფიქრი ღმერთზე ფიქრს მოასწავებდა. ამიერიდან ამქვეყნიური სილამაზე აღიარეს ზეციურის ტოლფასად. ზეცა მომხიბვლელია თავისი სულიერებით, ცისქვეშეთი კი მისი განსახოვნებით. ყველაფერს აერთიანებს სრულყოფილი ადამიანი. ადამიანი გაიდეალდა ხორცითა და სულითაც.

ადამიანმა აღმოაჩინა ბუნება, მისი სილამაზე. მანამდე კი, ფრესკაზე ბუნებას ვერა ვხედავთ. ფრესკისთვის თითქოსდა არ არსებობს ბუნება. რენესანსელმა მხატვრებმა მშვენიერი ვენერები შიშველი სხეულით პირდაპირ ბუნების ფონზე დახატეს. ამით გვიჩვენეს, რომ ეს მშვენიერება ბუნების ქმნილებაა, რომ ვერავითარი სამოსი ვერ დაამშვენებს ადამიანს ისე, როგორც თავისი სხეულის სილამაზე.

სრულყოფილი ადამიანის სახეო, - ასე გამოხატავენ ადამიანის რენესანსულ იდეალს მაგრამ ამ განმარტებასაც კვლავ განმარტება სჭირდება. რას გულისხმობს ეს სრულყოფილება? ცხადია, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი არ იდეალდება მხოლოდ რომელიმე ერთი სულიერი სწრაფვით, არც სრულყოფილი ხორციელი ცხოვრებით, არც მხოლოდ სულიერით, ეს უფრო იმას ნიშნავს, რომ კაცი ყოფით ცხოვრებასაც უნდა ასულიერებდეს, ამაღლებული მიზნებიც უნდა ჰქონდეს, ამ ეპოქაშიაც აღიარებულია პრინციპი: ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში. მაგრამ ესეც თავისებურადაა გაგებული. არავინ ფიქრობს, რომ არაჯანსაღ სხეულში შეუძლებელი იყოს მაღალი სულის არსებობა, ასევე სჯერათ, რომ სრულყოფილ სხეულშიაც შეიძლება ბუდობდეს მდაბალი სული.

შეიცვალა ბედის გაგებაც. რენესანსელთათვის ბედი არსებობს, მაგრამ შეიძლება მისი ამოცნობა და მის წინააღმდეგ მოქმედება. რენესანსელებმა სულ მთლად „არ უარყვეს ბედი. ბედის წინააღმდეგ ბრძოლაც ბედია. „ბედი ცდაარ“, - ამბობს რუსთაველი. ბედში შეიძლება კანონზომიერება იყოს და შეიძლება - არა. ეს კი ფათერაკია. ავთანდილი ამბობს:

„ფათერაკი სწორად მოკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი,

მარტოობა ვერას მიზამს მცავს თუ ცისა ძალთა დასი" (164).

ადამიანის მიერ ადამიანზე მეტად გასაღმერთებელი არაფერი არ უნდა ყოფილიყო. რასაც მანამდე ღმერთს მიაწერდნენ, ყველაფერი ასე თუ ისე ადამიანს თავის თავში უნდა ეგრძნო. მაშინ საოცრებებს მხოლოდ ზეცაზე კი არ მოძებნიდნენ, არამედ ადამიანშიც. ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი მთელი რენესანსული ესთეტიკისა. ეს იდეა ქართულ რენესანსშიაც გავრცელდა.

დანტე ალიგიერი წერდა: „გავბედავ და ვიტყვი, რომ ადამიანის კეთილ შობილება, თავის ნაყოფთა სიმრავლით, მთლიანად ანგელოზთა კეთილშობილებას აღემატება და უფრო ღვთაებრივია“.

დანტე ღვთაებას ამსგავსებს ადამიანს და მეტად აღარ აახლოებს მასთან. ქართულ აზროვნებაშიც ასეა, ადამიანი ღვთაების ერთ-ერთი სახეა, ანუ მისი პოეტური ჰიპოსტასია. ასეთი პოეტური აზრი შეიქმნა ქართული რენესანსის ხანაში. მეოთხე მხატვრულ სახედ, მხატვრულ ჰიპოსტასად გამოაცხადეს თამარი. ჩამოყალიბდა თამარის ღვთის მსგავსობის პოეტური იდეა. თამარი ჩვენს წინაშე წარმოდგა ვითარცა სახე-იდეა, ქართული რენესანსული ეპოქის განზოგადებული პერსონაჟი, მთავარი გმირი რენესანსული დრამისა. ასე შეიქმნა მეოთხე

ჰიპოსტასობის უნიკალური მხატვრული წარმოდგენა, მხატვრული და არა რელიგიური. ამას მოჰყვა დიდი გარდატეხა მხატვრულ შემოქმედებაშიაც და ესთეტიკურ ნააზრევშიც. იმ მხატვრული ფორმით, რომლითაც მანამდე გამოსახავდნენ ღმერთს, ახლა გამოხატეს ადამიანი. იმ გრძნობით, რომლითაც მანამდე განიცდიდნენ ღმერთს, ამიერიდან შეიგრძნეს ადამიანის მშვენება. რწმენით განიცადეს სიყვარული. მშვენიერებისა და ამაღლებულობის საზომად იქცა ადამიანი.

თამარი რომ „გააღმერთეს“, ამით საერთოდ ადამიანის პოეტური გაღმერთება დაიწყო. ამით აღიარეს ამქვეყნიურობის ესთეტიკური ფასეულობა. რაც მთავარია, ამან მწერლობას საშუალება მისცა გამონაგონი გმირებიც კი ღვთაებრივი მშვენიერებით წარმოედგინათ.

ასეთი გავლენა ჰქონდა მეოთხე ჰიპოსტასობის პოეტურ იდეას შემოქმედებით პროცესზე. როგორ შეიქმნა ჩვენში ასეთი უნიკალური იდეა? დავიწყოთ ეროვნული საფუძვლით. მანამდე საქართველოს საუკუნეთა მანძილზე ენატრებოდა ეროვნული და კულტურულ-სახელმწიფოებრივი სრულყოფილება, ბიზანტიელებთან გატოლება, რაც მრავალმხრივ განხორციელდა თამარის ეპოქაში. ეს კი შემზადდა დავით აღმაშენებლის დიდი კულტურულ-სახელმწიფოებრივი რეფორმით. ესთეტიკის განვითარებას ისტორია ამზადებდა ხშირად.

საქართველომ ძლიერების ზენიტს მიაღწია. მისი სიდიადის სიმბოლოდ იქცა თამარი. მართალია, თამარის დროს მეფის აბსოლუტური (შეუზღუდველი) ხელისუფლება ერთგვარად შეიზღუდა დარბაზით, რომელსაც მეფე უნდა დასთათბირებოდა, მაგრამ იდეოლოგიაში მაინც აბსოლუტიზმი გაბატონდა, პოეტური წარმოდგენით, თამარი იყო ყოვლისმპყრობელი. ასე ჩანს იგი „აბდულმესიანში“, „თამარიანში“ და „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგსა და ეპილოგში.

იერუსალიმიდან გამოიწვიეს ყოფილი პატრიარქი ნიკოლოზ გულაბერისძე. მან დაწერა „საკითხავი სვეტისა-ცხოველისაჲ“ და კიდევ ერთხელ განადიდა წმინდა ნინო, საერთოდ, ქალის ღირსებანი და ეს თამარის მეფობის დასაბუთებაა. ქრისტიანობა ქალში ხედავდა ღვთისმმშობელსაც, სიწმინდის სიმბოლოს, მაგრამ ქალშივე ხედავდა ბოროტების სათავეს. რადგან ბიბლიის მიხედვით, ევამ, პირველმა ქალმა, ადამი აცდუნა, აკრძალული ხილი მიაწოდა, აღთქმა დაარღვევინა და აქედან მოდის ადამიანთა ცოდვა და სიავე. ნიკოლოზ გულაბერისძემ ქალის კულტის ქართული ტრადიციები გამოიყენა და მისი მაღალი ღირსებანი წარმოაჩინა. განადიდა თამარი და ქალის მეფობა. ქალის კულტი კი თავად იყო ახალი ესთეტიკური იდეალების საფუძველი. აქედან იღებდა სათავეს სიყვარულის კულტი.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას: რომელიმე დიდი ადამიანის კულტი რომ დამკვიდრებულიყო, აუცილებელი იყო ჯერ ეს გრძნობა ღვთაებრივად გამოცხადებულიყო და როცა ის ღვთაებრივად ჩაითვლებოდა, ამას მისი საერთო აღიარება მოჰყვებოდა ხოლმე და იგი ცხოვრებაში მკვიდრდებოდა. ასე ხდებოდა მისი ამქვეყნიური, ცხოვრებისეული აღიარება. დამკვიდრდა სიყვარულის ამქვეყნიური კულტი. ჯერ ის მხოლოდ ღვთაებრივი გრძნობა იყო. შემდეგ ადამიანური სიყვარული ღვთაებრივად გამოცხადდა და, ბოლოს, თვით ადამიანური სიყვარული თავისთავად დაფასდა. ამ გზითვე მიდიოდა კაცობრივი სიყვარულის რენესანსული განვითარება: ღვთაებრივი თამარი - ქალის კულტი - სიყვარული. ქალის ტრფობა ყველაზე დიდ ადამიანურ ღირსებად აღიარეს.

თუ წინათ მხოლოდ ღმერთის სიყვარულისთვის აიდეალებდნენ ადამიანს, ამიერიდან გააიდეალეს ჭეშმარიტი მიჯნურებიც. სატრფო იქცა ღვთაებად, რადგან ტრფობა ჰბაძავს საღვთო სიყვარულს. აი, როგორი რთული და საინტერესო გზებით ხდებოდა ადამიანის რენესანსული

იდეალის განვითარება. რაოდენ შორსმიმავალი იყო ეს გზები. აი, სადამდე მიჰყავდა აზროვნება თამარის მეოთხე ჰიპოსტასობის პოეტურ იდეას. მაგრამ კვლავ დავუკვირდეთ ამ იდეას. მეოთხე ჰიპოსტასი - არ ნიშნავს მე-4 სახეს, ან ღვთაების მე-4 პირს. ქრისტიანობის უმთავრესი დებულებაა, რომ ღმერთი სამპიროვანია (მამა, ძე და სული წმინდა). ეს განასხვავებს ქრისტიანობას ყველა სხვა რელიგიისაგან. სხვაგან არსად არ გვხვდება ღმერთის ამგვარი გაგება.

და აი, საქართველოში იქმნება პოეტური იდეა: თამარი სამების წევრთა თანასწორიაო.ეს უფრო მეტია, ვიდრე ღმერთთან შედარება, ღვთაებრივი წარმოშობის მტკიცება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამგვარი იდეა არც ერთ სხვა მწერლობაში არა გვხვდება. ამის ასახსნელად კვლავ გავიხსენოთ ზოგიერთი რამ ისტორიიდან. თამარის დროს საქართველო წარმოადგენდა დიდ სახელმწიფო გაერთიანებას. იგი ვრცელდებოდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. მასში რამდენიმე ცალკეული სამეფო შედიოდა. მათი მეფეები თავიანთ თავს ღვთის შთამომავლებად თვლიდნენ. თამარი იყო მეფეთა-მეფე. და თუ ის მეფეები ღვთის შთამომავლად ითვლებოდნენ, თამარი გაცილებით მაღლა უნდა მდგარიყო. იგი თავად ღმერთს უნდა შემსგავსებოდა.

თამარის „გაღმერთებას“ სახელმწიფო იდეოლოგია ითხოვდა, მაგრამ მწერლობა ამას ახორციელებდა პოეტური თავისუფლებით. ასეთი თავისუფლება კი რენესანსმა მოიტანა, თორემ მხოლოდ მეფის გაიდეალების მიზანი ვერ გაამართლებდა ამას. რენესანსი ადამიანის გაღმერთებას ითხოვდა. ყველაფრის ცენტრი ადამიანი უნდა გამხდარიყო. მეოთხე ჰიპოსტასობის პოეტურ იდეას სხვაგვარი მნიშვნელობაც ჰქონდა. საქართველო სურდათ წარმოედგინათ მთელი საქრისტიანოს ბურჯად, ანუ ისეთ ქვეყნად, რომლის იმედი ყველა ქრისტიან ხალხს შეეძლო ჰქონოდა. მანამდე ქრისტიანობის ბურჯად ბიზანტია ითვლებოდა. მაგრამ მე-12 საუკუნის ბოლოს ბიზანტიის დიდება დაეცა. ბიზანტიის ადრინდელი ძლიერებიდან აღარაფერი დარჩა. ვინღა უნდა დარჩენილიყო ამ დროს ქრისტიანობის იმედად?

თამარის მეხოტბე პოეტები ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანობის ერთადერთ იმედად საქართველო რჩებაო, ხოლო თამარი საქართველოს დიდების სიმბოლოაო. იგი წარმოედგინათ ყველა ქრისტიანის მწყალობლად და დამხსნელად.

თამარისდროინდელ ქართულ პოეზიაში ჩნდება იდეა: ჩვენშიაო ახალი რომი. ახალ რომში ახალ ადამიანს უნდა ეცხოვრა. ახალი ადამიანის იდეას მოუთხოვია თამარის ეგოდენი განდიდება. თამარი „გააღმერთეს" თავისი ადამიანური თვისებებით, თუნდაც იმ მეფური თვისებებით, რომლებიც მის ადამიანურ ღირსებებსაც წარმოაჩენდა და არა იმიტომ, რომ თამარი ამქვეყნად მოვლენილ ღმერთად შეერაცხათ. ადამიანი მიუახლოვდა ადამიანობის იდეალს, ხოლო ამგვარი ადამიანი ამქვეყნად ღვთაებრიობის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ, შემდეგ ყოველივე ეს ნაწარმოებთა იდეალურ გამონაგონ პერსონაჟებზეც გადაიტანეს.

საქართველოში რენესანსულმა ესთეტიკამ ადამიანი გააღმერთა. იტალიურმა რენესანსულმა ხელოვნებამ ღმერთი გააადამიანა. წინათ ფრესკებზეც ღმერთსა და ღვთისმშობელს ხატავდნენ უხორცო სულებად. არ ცდილობდნენ გამოეცათ მათი ხორციელი სილამაზე. რენესანსისდროინდელმა იტალიელმა მხატვრებმა ღმერთი და ღვთისმშობელი სისხორცეული ძალით აღავსეს. მათ ამშვენებს ადამიანური სილამაზე. თვით ღვთაება სულთან ერთად სხეულითაც დამშვენდა. ამ სახეებში ციური მშვენების გარდა ცხოვრების სიყვარულიც ჩანს. იტალიელი მხატვრები ღვთისმშობლად თავიანთ ნაცნობ ლამაზ გოგონებს ხატავდნენ. ეს ხომ უკვე იმას ნიშნავს, რომ ღვთისმშობლის სახე შეიძლება დავინახოთ ამქვეყნად. ღმერთის

სილამაზის გასაგებად ამქვეყნიურ სილამაზეს აკვირდებოდნენ. ამის მსგავსად წარიმართა ქართული რენესანსული ესთეტიკური აზრიც.

როგორც დავინახეთ, თამარს ისე განადიდებდნენ, ისეთი ნიშან-თვისებებით ამკობდნენ, რომ იგი ისტორიული პიროვნებიდან იქცეოდა ერთ ზოგად სახე-იდეად, ზოგად პერსონაჟად. როგორი უნდა ყოფილიყო თამარი, როგორც პერსონაჟი, ამას განსაზღვრავდნენ ადამიანის რენესანსული იდეალით. ადრე მზე ღმერთი იყო, ან ღმერთი იყო მზე. ამიერიდან მზე იყო თამარი და თამარი იყო მზე. მზეა თინათინი, ნესტანიც და ტარიელი. ადრე მზის ძალით განიცდებოდა ღმერთი, ახლა მზის ძალით განიცდება ადამიანური მშვენება.

ასე დამკვიდრდა ადამიანის რენესანსული იდეალი რუსთაველისდროინდელ საქართველოში.

დანართი 4.

მეოთხე მაგიდა

ლევან გიგინეიშვილი - "შეუმჩნეველი" პოლიტიკური ავანტიურა "ვეფხისტყაოსანში" (შემოკლებით)

... რეალურად რა მოხდა ინდოეთის პოლიტიკურ სივრცეში და რა დარჩა რუსთველოლოგების შემჩნევის მიღმა.

მივყვეთ ამ დრამატული მოვლენების განვითარებას.

ინდოეთი დაყოფილი ყოფილა 7 სამეფოდ. აქედან 6 ეკუთვნოდა ფარსადანს, მეშვიდე კი ტარიელის მამას - სარიდანს. სარიდანი ხანში შევიდა და მიიღო ერთობ დამაფიქრებელი გადაწყვეტილება შეეერთებინა თავისი სამეფო ფარსადანის სამეფოსთვის, რითაც თვითონ მეფობის სტატუსიდან ჩამოქვეითდებოდა მთავარსარდლის სტატუსამდე. ოფიციალური მიზეზი ამ გადაწყვეტილებისა, რომელსაც სარიდანი აპირებს, არის მოწყენილობა. ერთობ უცნაური მიზეზია: სარიდანი ამბობს, რომ მიაღწია ყველაფერს, რისი მიღწევაც შეეძლო: მტრებს სძლია, მათი ტერიტორიები მიითვისა, ყველას მისი ეშინია, "მორჭმით" ზის და უცებ ამ ყველაფერს თმობს იმ მოტივით, რომ თურმე მოიწყინა.

სინამდვილეში საქმე რაშია? რა თქმა უნდა, როდესაც რაღაც დიდს მიაღწევ, სევდის მიზეზი ისაა, რომ ფიქრობ როგორ მიაღწიო კიდევ უფრო დიდს (და არა პირიქით). მაშ როგორ მოიპოვებდა სარიდანი უფრო დიდ სტატუსს თავისი დინასტიისთვის, როდესაც სამეფოს ჩააბარებდა ფარსადანს და თვითონ კი ამირბარად, ანუ ადმირალად ჩამოქვეითდებოდა? პასუხი ძალზე მარტივია და ამისთვის საჭიროა რამდენიმე სტროფით დაბლა წავიკითხოთ, რომ

„ძე არ ესვა მეფესა (ე.ი. ფარსადანს) და დედოფალსა მზისა დარსა,
ჭმუნვა ჰქონდა, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი ზარსა,
ვაი, კრული დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა,
მეფემან თქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა".

რას ვიგებთ აქედან? იმას, რომ ფარსადანის სამეფოსთვის უზარმაზარი პრობლემა იყო, თუ ვის დარჩებოდა მემკვიდრეობა, რადგან მეფეს შვილი არ ჰყავდა. ასეთ დროს მას ეყმო სარიდანი და გადასცა თავისი სამეფო. ფარსადანი ვერ მიხვდა, რომ სარიდანის სამეფო ანკესზე წამოცმული მსუქანი ჭიაყელა იყო და სიხარულით გადასანსლა იგი. რა მიიღო? რა და ის, რომ სარიდანს, მას შემდეგ, რაც იგი გახდა ამირბარი, გაუჩნდა ვაჟი ("ვაი, კრული დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა"). ცხადია, სარიდანს რომ ვაჟი მანამდე ჰყოლოდა, სანამ ფარსადანს

ეყმებოდა, ფარსადანი კეთილგონიერებას გამოიჩენდა და უარს ეტყოდა, რადგან მაშინ ტარიელი ავტომატურად იქცეოდა ყველაზე რეალურ კანდიდატად ტახტისათვის და ფარსადანის დინასტიას ჩაანაცვლებდა სარიდანის დინასტია...

სარიდანი გარდაიცვალა და ვერ მოესწრო თავისი გეგმების აღსრულებას. აი ახლა კი ფარსადანს უკვე შეეძლო გაემჟღავნებინა თავისი ნამდვილი ჩანაფიქრი. ტარიელი მთელი წელი გლოვობდა მამის გარდაცვალებას. ამის შემდეგ მეფემ მიუგზავნა 15 წლის ობოლს დიდგვაროვნები, რომელთა პირით სთხოვა გლოვის დასრულება და როგორც ჯილდო გადასცა მამის ოფისი – ამირბარობა. თითქოს უდიდესი პატივი იყო 15 წლის ბიჭისთვის, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო ხაფანგი: მისთვის გვირგვინისაკენ გზის გადაკეტვა და სარიდანის დინასტიური ოცნების დასამარება...

ახლა ცოტა შევისვენოთ, გადავხედოთ ინტრიგის პირველ ნაწილს და მოვემზადოთ მისი განვითარებისთვის. მაშ ასე, ტარიელი ამირბარია და ჩანს სარიდანის დინასტიურ ოცნებას, სრულიად ინდოეთზე გამეფდეს, ასრულება აღარ უწერია. და აი ამ დროს ხდება ის, რომ ტარიელი მოულოდნელად დაინახავს ნესტანს და მისდამი სიყვარულით ისე განიმსჭვალება, რომ დასნეულდება კიდეც. თუ ეს სიყვარული საყვარელი ქალის ცოლად მოყვანის კონკრეტულ გეგმად იქცა, სასიძო ნებსით თუ უნებლიედ შეიჭრება სამეფო ამბიციების ველში.

ტარიელი არ იჩენს ინიციატივას და ყველაფერს აკეთებს, რომ დამალოს სიყვარული... ის არის მძლავრი პოლიტიკური ფიგურა, ამირბარი, რომელსაც მთელი ჯარი აბარია; თუ ის გაბედავს ნესტანის სიყვარულის საქმედ ქცევას, ეს ნიშნავს გამოაცხადოს პრეტენზია ინდოეთის ტახტზე; თუ ამ პრეტენზიას გაიგებს ფარსადანი, ტარიელს ყოველნაირად შეუშლიან ხელს რამე კავშირი ჰქონდეს ნესტანთან; ერთი სიტყვით, ტარიელი თავმდაბლობისა თუ შიშის – ან ორივესი ერთად – გამო ინიციატივას არ იჩენს. ინიციატივას იჩენს ნესტანი:

“ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა, მიჯურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია,
ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათი ჯავრი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია!”

ანუ ნესტანი მოუწოდებს მას პოლიტიკური მოქმედებისკენ, ურომლისოდაც მათი სიყვარული იქნება ამაო (“ბედითი”) ტანჯვა და უპერსპექტივობა (“სიკვდილი”). ნესტანი პირდაპირ არ ამბობს, რომ ტარიელს მოუწევს დაპირისპირება ფარსადანთან, მაგრამ ეს იგულისხმება განვითარებული მოვლენებიდან.

ტარიელი მიდის ხატაეთში საომრად და წინასწარ ფარსადანის სახელით ემუქრება ხატაელებს, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ თვით ფარსადანთან არ ათანხმებს ამ სადამსჯელო კამპანიას. აჯანყებული ვასალური ქვეყნის ხელახალი დამორჩილების რისკიანი სპეცოპერაცია ტარიელის ტრიუმფით დასრულდა...

რას განიცდის ამ დროს ფარსადანი? რა თქმა უნდა „უდიდეს სიხარულს ინდოეთის ძლევამოსილი არმიის მიერ ურჩი ხატაელი მეფის, რამაზის დამარცხების გამო!” ოღონდ ეს ინდოეთის ოფიციალური პრესისთვის, სინამდვილეში კი განიცდის უზარმაზარ შფოთს, შიშს ტარიელის ასეთი არნახული პოპულარობის გამო, და ასევე ენით უთქმელ ბრაზს, რომ ეს ყველაფერი ტარიელმა მასთან შეუთანხმებლად გააკეთა...

... სალხინო სუფრაზე ფარსადანი კიდევ ერთ გამოცდას უწყობს ტარიელს. მას სვამს ნესტანის პირისპირ. ერთი მხრივ, პატივია, მეორე მხრივ კი, დისტანციის ჩვენება: მაგიდა,

რომელიც თქვენ გყოფთ, არის ძალაუფლების ზღვარი, თქვენ არასდროს არ იქნებით ერთ ხაზზე. ამავე დროს, ფარსადანს სურს შეიტყოს: არის თუ არა რამე ნესტანსა და ტარიელს შორის?.. თუ ის ნახავს, რომ ტარიელი და ნესტანი ერთმანეთს სხვანაირად უყურებენ, მაშინ ტარიელი ფარსადანისთვის გამოვლინდება უსაშიშეს პოლიტიკურ მეტოქედ, რომელსაც შეუძლია სიყვარულის ფაქტორი გამოიყენოს სატახტო ამბიციების ბერკეტად. ტარიელი ცდილობდა არ ეცქირა სხვანაირად ნესტანისათვის ქეიფის დროს, მაგრამ შემდეგ, როცა მეფის ძალდატანებით ყველა, მათ შორის ტარიელიც, გვარიანად შეზარხოშდა, ტარიელმა დაივიწყა რიდი და უკვე ნესტანის მეტს ვერც ვერავის ამჩნევდა.

ეს ორმხრივი შეხედ-შემოხედვები ფარსადანის დაგეშილ მზერას არ გამოჰპარვია და მან უკვე დასტურ იცის: ნესტანს და ტარიელს ერთმანეთი უყვართ, ეს კი ნიშნავს, რომ ნესტანის გამეფებითაც სარიდანიანთა დინასტიას არ ესპობა გზა ტახტისაკენ. ნესტანი კი თავისი სიყვარულით გამოდის მეხუთე კოლონა ფარსადანის დინასტიის დომინაციის ქომაგებისათვის და დიდ საფრთხეს უქმნის ძალაუფლების ბალანსს ინდოეთში. დაყოვნების დრო აღარ არის, ფარსადანმა სასწრაფოდ უნდა მოიმოქმედოს რამე. გამოსავალს ის ხედავს ნესტანის საჩქაროდ გათხოვებაში მეზობელი დიდი სახელმწიფოს ხორეზმის უფლისწულ ხვარაზმშაზე. ეს ქორწილი, რა თქმა უნდა, შეზღუდავს ნესტანის ერთპიროვნულ ძალაუფლებას, ვინაიდან მას მოუწევს ტახტის გაყოფა უცხოელ მონარქთან, მაგრამ ფარსადანი ვერაგ სარიდანიანებს მაინც ხომ არ გაახარებს!..

ნესტანის გათხოვება გადაწყვეტილია, წერილი ხვარაზმის მეფესთან მიწერილი და თანხმობაც მიღებული. ხვარაზმის მეფისთვის ფარსადანის წინადადება მოულოდნელი სიხარული იყო, თანაც მისი ძე თვით ხორეზმში ყველას მოძულებული ჰყავდა, მამამისსაც კი: “თვით მაგეთისა შვილისა ჩვენ ხელსა რასა ვხდიდითა” – ანუ ასეთი ყოვლად გამოუსადეგარი შვილი რა ჯანდაბად გვინდა, აქ რომ გვყავდეს, ინდოეთამდემც გზა ჰქონიაო (შეიძლება ეს ალუზიაა გიორგი რუსზე, რომელიც თამარს პოლიტიკური მიზნებით უქმრეს და რომელიც უკიდურესად უზნეო ადამიანი იყო). ახლა, რაკი თანხმობა უკვე მიღებულია, ფარსადანი ტარიელს უკანასკნელ გამოცდას უწყობს: იბარებს მას და ეკითხება, თავში მომივიდა აზრი ნესტანის გათხოვებაზე და ერთი კარგი ბიჭიც მყავს შეგულებული – მეზობელი ქვეყნის, ხორეზმის უფლისწული, შენ რას იტყვი, რას მირჩევო. აქაც მახეა: ფარსადანმა უკვე იცის ტარიელის გულში ამბიციური გეგმები ბობოქრობს, მაგრამ გაბედავს თუ არა ეს გეგმები გამოააშკარავოს? თუ ტარიელი მის გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგება და ღია კონფროტნაციაზე გადავა, ფარსადანს ყველა კოზირი აქვს ტარიელს დასწამოს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და ან დააპატიმროს, ან გადაასახლოს, ან უბრალოდ გაასაღოს. ტარიელი აქ კი უკვე სიფრთხილეს იჩენს და გარეგნულად მეფეს უწონებს გადაწყვეტილებას, შინაგანად კი თავი ცოცხლად აღარ უნდა.

ტარიელს ესპობა როგორც სიყვარულის, ისე მეფობის ხელში ჩაგდების იმედები. მართლაც, რა გამოსავალი უნდა ჰქონოდა მას?..

მაგრამ აქ საქმეში შემოდის ნესტანი. იგი დაიბარებს ტარიელს და რისხვის სეტყვას დაატეხს თავზე... ტარიელი თავის გასამართლებლად ეუბნება ნესტანს, რომ მას მისთვის ფიცი არ გაუტეხავს, რომ როდესაც გაიგო ნესტანის ხვარაზმშაზე გათხოვების ამბავი ფარსადანისაგან, მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრების გამო დასთანხმდა, თორემ ისე მაშინვე დაიწყო მათი

სიყვარულის გადასარჩენად სახელმწიფო გადატრიალების და ტახტის ხელში ჩაგდების გეგმის შედგენა:

“დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა...

არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?

ტარიელ არს მემამულე, სხვასა მართებს არად არა;

ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა?”

ახლა ნესტანის ავანტიურისტულ გეგმას შევხედოთ; მართლაც გენიალური რამე მოიფიქრა: უთხრა ტარიელს, მოკალი ხვარაზმშა; ეს შექმნის "კაზუს ბელლი"-ს ხორეზმის სახელმწიფოსთან და ხორეზმის მეფე დიდი ჯარით წამოვა ინდოეთის წინააღმდეგ; ასეთ დროს ფარსადანი ვერ გაბედავს მთავარსარდალს დაუპირისპირდეს სამოქალაქო ომით და, პირიქით, შეგეხვეწება, მოდი, ინდოეთი გადავარჩინოთ ხვარაზმელებისგან ერთიანი ძალებითო; შენ ჩემს სიყვარულზე კრინტი არ დაძრა, მხოლოდ პატრიოტული მოტივები დაასახელე ხვარაზმშის ძის მოკვლის მიზეზად და ის, რომ შენ თვლი თავს ტახტის მემკვიდრედ; ინდოეთისთვის ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო სიტუაციაში მეფე ტახტზე უარს ვერ გეტყვის, ხოლო გამეფების მერე ჩემს ცოლად მოყვანას წინ ვერავინ ვეღარ აღუდგებაო. ასე რომ, შორსმჭვრეტელი ნესტანი ინაღდებს როგორც ტარიელის ქმრობას, ისე ინდოეთს იხსნის გარდაუვალი სამოქალაქო ომისაგან ტარიელისა და ფარსადანის მომხრეებს შორის. ავანტიურის საბოლოო მიზანს და მომავალი ინდოეთის ძალაუფლების ბალანსს ნესტანი ხედავს პარიტეტში ფარსადანიანთა და სარიდანიანთა დინასტიებს შორის: “მე და შენ დავჯდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლთა სიძე-რძლობასა”. – ანუ ორი მონარქის, ცოლ-ქმრის ერთიანი მმართველობა ეფექტურად დაასრულებს ხანგრძლივ დინასტიურ შუღლს ინდოეთის ორ სამეფო გვარს შორის...

ტარიელი კლავს ხვარაზმელთა უფლისწულს...

ეს კატასტროფა იყო მეფე ფარსადანისათვის. იგი იმდენად დაიბნა, რომ ტარიელს ასეთი რამ შეუთვალა: “თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგნებინე”... ტარიელი კი პასუხობს იმას, რაც ნესტანმა დააბარა:

“მე თქვენმან მზემან მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა.

იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია,

ერთიღა მე ვარ მემკვიდრე – ყველაი თქვენ მოგხდომია,

ამოსწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია,

დღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია.

ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ მართალია:

ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,

ხვარაზმშა დასვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?

სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხმალია?!

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე,

ინდოეთი ჩემი არის, არვის მიხვდეს ჩემგან კიდე.

ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე,

სხვას მაშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე.”

აქ ყველაფერია ნათქვამი, სხვათა შორის ისიც, რომ უსამართლობაა ინდოეთის წესების მიხედვით ქალის გამეფება; რომ ამიტომაც მთელ ინდოეთში ერთადერთი ლეგიტიმური მემკვიდრე არის ტარიელი; ჩანს, ასე ფიქრობს არა მარტო ტარიელი, არამედ ინდოეთის

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ამიტომ ტარიელს მეტი მომხრე ჰყავს ინდოეთში ვიდრე ფარსადანს... ფარსადანი მართლაც ორივე ყურით დაჭერილია, ნესტანის წინდახდული გეგმა თითქოს 100 პროცენტით სრულდება, მაგრამ აქ ხდება უკიდურესად დრამატული, დაუგეგმავი, ყოვლისწამლეკავი მოვლენები, რასაც მოჰყვება ნესტანის იდუმალი გადაკარგვა და პოემის მთელი შემდგომი პერიპეტიები, რაც უკვე სცილდება ჩვენი ახლანდელი პოლიტიკური ინტრიგის თემას.

დასკვნის სახით კვლავ ვიტყვით, რომ მთელი ეს ინტრიგა მეტ-ნაკლები სიცხადითაა რუსთაველის მიერ წარმოჩენილი... ვფიქრობ, რუსთაველს ამ შენიღბვის სხვა მიზეზიც შეიძლება ჰქონოდა: ის სინამდვილეში საუბრობდა საქართველოს სამეფოში მომხდარ რეალურ პოლიტიკურ მოვლენებზე, ანუ ეს არის გარკვეულწილად პოლიტიკური პუბლიცისტიკა, საკმაოდ სახიფათო თემაზე. ამიტომაც ავტორმა ზღაპრულ-ეგზოტიკურ გარემოში გადაიტანა მოქმედება და, ამავე დროს, შეგნებულად მოარიდა თავი საკუთარი ემოციების, პირადი პოზიციის პირდაპირ გამოხატვას, თუმცა კი არც ისე ძალიან შენიღბა, რომ თავის თანამედროვეებს ადვილად არ ამოეცნოთ მისი მინიშნებები.